საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-04/100

ქ. ბათუმი 31 აგვისტო, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა (პირველი ნაკადის) ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანების**, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი **საბჭოს 2022 წლის 27 მაისის MES 0220000548815 გადაწყვეტილების,** ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე საგრანტო პროექტთან „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდებისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში (საგრანტო ხელშეკრულება ENI/2020/417-316) კოორდინატორის ნინო ინასარიძის წერილის (ბსუ-ში შემოსვლის N808316; 15.07.2022), ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პირველი 50 მსმენელისათვის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19 ივლისის N07-01/40 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლ პერსონალთან და მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 23 ოქტომბრის N01-02/136 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 15 ივლისის N808517 და 19 ივლისის N816320 სამსახურებრივი ბარათების, ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა (პირველი ნაკადი) მიღების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს**

რექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს N01-02/203 ბრძანების, რუსუდან ხუხუნაიშვილთან, მარინა ქორიძესთან, ანა კეკელიძესთან, გელა მგელაძესთან გაფორმებული პირობითი შრომითი ხელშეკრულებების, **2022 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგებისა და** ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის თაობაზე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 წლის 30 აგვისტოს N968926 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ჩაირიცხონ მსმენელები **(პირველი ნაკადი - 10 მსმენელი) N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" პირველ ნაკადზე ჩარიცხული მსმენელების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით **მოწვეული იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი,** წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად და მათთან გაფორმდეს **შეთანხმებები,** წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად.
3. ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული,,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ჩარიცხული პირველი ნაკადის მსმენელებისათვის სასწავლო პროცესი წარიმართოს ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს N01-02/203 ბრძანებაში აღნიშნული განრიგით (01.09.2022-24.09.2022, კვირაში 15 სთ, სულ 60 სთ).
4. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19 ივლისის N07-01/40 გადაწყვეტილების თანახმად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების, საკონტაქტო 1 სთ-ში - 10 ევროს ექვივალენტის ლარის საგრანტო ხელშეკრულების ENI/2020/417-316) ბიუჯეტის ფარგლებიდან სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ გაცემის მიზნისათვის გაფორმდეს ხელშეკრულება (თანამშრომლობის სამმხრივი შეთანხმება)_ბსუ-ს, დასაქმებულსა და სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას შორის.
5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრმა უზრუნველყოს:**

ა) პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ხელშეკრულებების, ასევე სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან ხელშეკრულების (თანამშრომლობის სამმხრივი შეთანხმების) გაფორმების ორგანიზება;

ბ) წინამდებარე ბრძანების დაგზავნა/გაცნობა ამ ბრძანებით ჩარიცხული მსმენელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის.

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორებთან: მარინა ქორიძესთან და რუსუდან ხუხუნაიშვილთან თანამშრომლობით - ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და

უსაფრთხოება“ განხორციელება და წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხული მსმენელების სასწავლო პროცესის წარმართვა.

6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,სამართლებრივი აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

7. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას.

8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (პროფესორებს: მარინა ქორიძეს და რუსუდან ხუხუნაიშვილს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა (პირველი ნაკადის) ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 აგვისტოს № 01-04/100 ბრძანების

დანართი №1

N	ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩარიცხული (პირველი ნაკადი) **მსმენელის სახელი და გვარი**	**პირადი ნომერი**
1	ელზა გოგიტიძე	61006059188
2	ელიზა ჩიკვაიძე	61001086842
3	თეონა ფუტკარაძე	61010018831
4	ლუკა კურტანიძე	57001054956
5	მარიკა მახარაძე	61001077727
6	მერი ხახუტაიშვილი	61004026811
7	მზია შარაძე	61002009675
8	ნოდარ გრიგოლია	02001022331
9	სალომე კალანდაძე	46001021950
10	ქრისტინე მახარაძე	26001034226

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა (პირველი ნაკადის) ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 აგვისტოს №01-04/100 ბრძანების დანართი N2

N	ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის სახელი და გვარი	პროგრამით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაო დატვირთვა - საათების რაოდენობა და სამუშაოს შესრულების პერიოდი (01.09.2022-24.09.2022 წ)	სწავლის შედეგის დასახელება	შრომის ანაზღაურება –1თ-ში 10 ევროს ექვივალენტი ლარი, კონვერტაციის კურსის შესაბამისად, ---- სულ-გასაცემი შრომის ანაზღაურება (ლარი)	დასაქმებულის მიერ ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა
1	მარინა ქორიძე	7 სთ	1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა - **2 საათი;** 2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა - **2 საათი;** 3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია - **3 საათი;**	70	ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **პროფესორი** (ბიოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტში) და ამავე ფაკულტეტის **დეკანის** მოვალეობის შემსრულებელი
2	რუსუდან ხუხუნაიშვილი	19 სთ	1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა - **2 საათი;** 2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა - **9 საათი;** 3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია - **1 საათი;** 4. გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - **7 საათი;**	190	ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **პროფესორი** (ბიოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტში)
3	გელა მგელაძე	11 სთ	1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა - **4 საათი;** 2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების	110	

			წესების დაცვით მუშაობა - **4 საათი;** 4. გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - **3 საათი;**		
4	**ანა კეკელიძე**	23 სთ	1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა - **7 საათი;** 3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია - **11 საათი;** 4. გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - **5 საათი;**	230	
	სულ ჯამი	**60**		**600**	

შენიშვნა: ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19 ივლისის N07-01/40 გადაწყვეტილების** თანახმად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება – საკონტაქტო **1სთ-ში - 10 ევროს ექვივალენტის ლარი,** ანაზღაურდება საგრანტო ხელშეკრულების ENI/2020/417-316 ბიუჯეტის ფარგლებში, სსიპ - **სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ** (ბსუ-ს, დასაქმებულსა და სსიპ- სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას შორის დადებული ხელშეკრულების (თანამშრომლობის სამმხრივი შეთანხმების) შესაბამისად.

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა (პირველი ნაკადის) ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 აგვისტოს № 01-04/100 ბრძანების

დანართი №3

შეთანხმება

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ“/,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ ——— (შემდეგში **„დასაქმებული“/,,განმახორციელებელი პირი“/,,მასწავლებელი“**), მხარეთა შორის გაფორმებული პირობითი შრომითი ხელშეკრულების გათვალისწინებით (N------, -------- წელი) ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

1.1. შეთანხმების საგანია მოწვეული მასწავლებლის მიერ ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **,,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ (შემდეგში - ,,პროგრამა“)** წარმართვასთან დაკავშირებული შრომითი ურთიერთობის **(შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა“)** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული** ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, რექტორის ბრძანებით განსაზღვრული** საათობრივი სამუშაო დატვირთვის და სამუშაო განრიგის შესაბამისად.

1.3. ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19 ივლისის N07-01/40 გადაწყვეტილების** თანახმად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება – **1თ-ში 10 ევროს ექვივალენტის ლარი** ანაზღაურდება საგრანტო ხელშეკრულების ENI/2020/417-316) ბიუჯეტის ფარგლებში, სსიპ - **სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ** (ბსუ-ს, დასაქმებულს/მასწავლებელს და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას შორის დადებული ხელშეკრულების (თანამშრომლობის სამმხრივი შეთანხმების) შესაბამისად.

1.4. **ამ მუხლში აღნიშნული სამართლებრივი აქტები** განიხილება წინამდებარე შეთანხმების ნაწილად. მათში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანას (დასაქმებულს გაეგზავნება წინამდებარე შეთანხმებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე შეთანხმების 1.3. პუნქტში აღნიშნული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და

თავისუფლებით, რაც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან.

2.2. **დასაქმებული ვალდებულია:**

ა) შრომითი საქმიანობა წარმართოს ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების **პროგრამის** განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების** და სხვა სამართლებრივი აქტები) შესაბამისად;

ბ) სამუშაო შეასრულოს პირადად, პროგრამის განხორციელების ადგილზე;

გ) პროგრამის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა პროგრამით დადგენილ ვადებში და თემატიკის შესაბამისად მსმენელის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი **პროგრამით** გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;

დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;

ე) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებული ასევე თანახმაა მისი პერსონალური ინფორმაცია დამსაქმებლის მიერ დამუშავდეს მასთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს სამუშაოს დროული, სრული და ხარისხიანი შესრულება და დასაქმებულის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს/გამოითხოვოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით, წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული საჭიროებიდან და დამსაქმებლის თანხმობის გათვალისწინებით;

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებებით.

მუხლი 3. შეთანხმების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები

3.1. შეთანხმება ძალაშია --------- წლის ---------- და მოქმედებს ---------- მდე.

3.2. შეთანხმების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი შესაბამისი მოდულის დაწყებამდე ერთი თვით ადრე);

ბ) წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია დასაქმებული;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

3.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (დასაქმებულის პირად საქმეში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

3.5. მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი"	„დასაქმებული"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახელი, გვარი:
ადმინისტრაციული მისამართი:	ირადი ნომერი:
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32	ეგისტრ. მის.:
	აქტ.საცხ.ადგ:
	ლექტ.მისამარ. -
	კონტ.ტელ.
უნივერსიტეტის რექტორი	ბანკო რეკვიზიტი:
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)